ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4087784

ნომერი: AR1613661

თარიღი : 08.07.2018

გაცემის თარიღი : 25.07.2018

გაცნობის თარიღი : 25.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , ჩიხი იმედაძის I , N 7 ; ქალაქი თბილისი , ბაგები, იმედაძის I ჩიხი N7 -ის მიმდებარედ;
ქალაქი თბილისი , ბაგები , ჩიხი იმედაძის I , N7-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი. საცხოვრებელი, სასტუმრო.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვალერიანე იობიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახური წარმოდგენილ ესკიზს დადებითად აფასებს, თუმცა ესკიზის საფუძველზე მშენებლობის ნებართვას ვერ გასცემს. საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი არქიტექტურული პროექტი და დოკუმენტაცია, რის საფუძველზე სამსახური იმსჯელებს ნებართვის გაცემის საკითხზე.
გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა მომზადდეს მოქმედი სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის:

1. პროექტის შეთანხმების ეტაპზე საჭიროა წარმოდგენილ იქნას ობიექტის შემცირებული მოცულობა მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით.
2. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება №57 „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე;
4. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმით მოცემული მიწის ნაკვეთისთვის დადგენილი ფუნქციური ზონის მოთხოვნები;
5. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“, დამტკიცებული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N 14-39 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
ასევე, ობიექტი არ უნდა იყოს შეუსაბამო სტატუსის მქონე და არ უნდა გააჩნდეს სხვა სამართლებრივი შეზღუდვები;

---

შენიშვნა: გაცნობებთ, რომ ესკიზის წინასწარი შეთანხმებისას სამსახური განიხილავს ფოტომონტაჟის მიხედვით განსახორციელებელი მშენებლობის მხოლოდ ქალაქგეგმარებით შესაბამისობას არსებულ განაშენიანებასთან. კერძოდ, შენობის ვიზუალური მხარე შეესაბამება თუ არა არსებულ განაშენიანებას,ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ხოლო, სხვა საკითხების შესწავლა, რაც, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, ესკიზის წინასწარი შეთანხმების დროს არ ხდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, არასასურველი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გეძლევათ რეკომენდაცია, საჭირო დოკუმენტების/პროექტების სრულად დამუშავებამდე შესწავლილი იქნას განსახორციელებელი/საპროექტო სამშენებლო სამუშაოების თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4–13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის მე–15 მე–16 34–ე 35–ე მუხლებთან და სხვა წესებთან/ნორმებთან შესაბამისობა. კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო სივრცეში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა პირველი სართული. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.